ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

**ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის
სტუდენტებისათვის**

2022-2023 სასწავლო წელი

სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ
შემდეგ მისამართზე:

https://www.tsu.ge

ასევე, შეგიძლიათ მიმართოთ ფაკულტეტის სასწავლო პროცესის
მართვის სამსახურსა და

სტუდენტთა მომსახურების ცენტრს

ჭავჭავაძის გამზ. 11, თსუ III კორპუსი, ოთახი 107

ცხელი ხაზი: 2250484

ელ-ფოსტა: pes@tsu.ge

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ფსიქოლოგიის მეცნიერებაში და მის სხვადასხვა დარგებში ფუნდამენტური ცოდნის შეძენა და ამ ცოდნის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გამოყენება. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკისა და ქცევის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, გაეცნობიან ფსიქოლოგიის ისეთ დარგებს, როგორებიცაა განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური კონსულტირება, ფსიქოდიაგნოსტიკა, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, ასევე, განწყობის ფსიქოლოგია – ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მონაპოვარი.

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად:

სავალდებულო საგნები – 170 კრედიტი;

მაინორი – 60 კრედიტი;

თავისუფალი – 10 კრედიტი.

სასწავლო გეგმა შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისგან.

სავალდებულო საგანი – სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიროს საგანი.

არჩევითი საგანი – სტუდენტს შეუძლია არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან აირჩიოს მისთვის საინტერესო საგანი არჩევითი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტების ფარგლებში.

ერთი სასწავლი წლის განმავლობაში სტუდენტს შეუძლია 60–65 კრედიტის აღება. მხოლოდ დამამთავრებელი, მე-8 სემესტრის სტუდენტებს შეუძლიათ 40 კრედიტის აღება, იმ შემთხვევაში, თუ უკვე 200 კრედიტი აქვთ დაგროვილი.

დამატებითი პროგრამა (მაინორი) – სტუდენტს შეუძლია აირჩიოს თსუ-ს სხვა ფაკულტეტიდან მისთვის საინტერესო სფეროს მიხედვით (60 კრედიტი). იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს არ აქვს მაინორის არჩევის სურვილი, მან შეიძლება დარჩენილი კრედიტები შეავსოს მისთვის საინტერესო საგნებით ფსიქოლოგიაში.

საბაკალავრო საფეხურის სტუდენტი, რომლიც წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს, თსუ-ს ენების ცენტრის დასკვნის საფუძველზე თავისუფლდება ინგლისური ენის სავალდებულო 10 კრედიტისგან და ეს სავალდებულო კრედიტები უნდა შეავსოს სხვა კრედიტებით.

პირველი სასწავლო წელი – სტუდენტი ეუფლება იმ საბაზისო ცოდნას, რაც მას ესაჭიროება ფსიქოლოგიური მეცნიერებების წარმატებით შესასწავლად. სტუდენტი შეისწავლის როგორც ფსიქოლოგიის ძირითად, საბაზისო საგნებს, ასევე, მონათესავე მეცნიერებებსაც, რაც მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ცოდნის მისაღებად.

პირველი სასწავლო წელი

შემოდგომის სემესტრი			
სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა	**არჩევითი კურსები**	კრედიტების რაოდენობა
ფსიქოლოგიის საფუძვლები 1	5	შესავალი სოციალურ მუშაობაში *	5
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1	5	მსოფლმხედველობრივი პარადიგმები*	5
სტატისტიკა 1	5	ლოგიკა	5
ინგლისური ენა 1	5	სოციოლოგიის შესავალი *	5
ბიოლოგიური ფსიქოლოგია *	5		5
აკადემიური წერა *	5		
გაზაფხულის სემესტრი			
სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა	**არჩევითი კურსები**	კრედიტების რაოდენობა
ფსიქოლოგიის საფუძვლები 2	5	შესავალი სოციალურ მუშაობაში *	5
კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2	5	მსოფლმხედველობრივი პარადიგმები*	5
სტატისტიკა 2	5	ანთროპოლოგია	5
ინგლისური ენა 2	5	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5
ბიოლოგიური ფსიქოლოგია *	5	სოციოლოგიის შესავალი *	5
აკადემიური წერა *	5	ლინგვისტიკის საფუძვლები	5

* აღნიშნული საგნები იკითხება ორივე სემესტრში. სტუდენტების ნაწილი მათ გაივლის შემოდგომის, ნაწილი – გაზაფხულის სემესტრში.

პირველი წლის განმავლობაში სტუდენტმა უნდა აიღოს:

- 50 კრედიტი სავალდებულო და 10 კრედიტი არჩევით საგნებში.
- დამატებით 5 კრედიტის მოგროვება შესაძლებელია თავისუფალი საფაკულტეტო ან საუნივერსიტეტო არჩევითი საგნებითაც.

მეორე სასწავლო წელი – სტუდენტები იღრმავებენ ცოდნას საკუთრივ ფსიქოლოგიის მეცნიერებაში და შეისწავლიან ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებებს ფსიქოლოგიის დარგების მიხედვით.

მეორე სასწავლო წელი

შემოდგომის სემესტრი	
სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა
ადამიანის განვითარება 1	5
კოგნიტური ფსიქოლოგია 1	5
სოციალური ფსიქოლოგია 1	5
განათლების ფსიქოლოგია *	5
მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით *	5
შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია *	5
არჩევითი კურსები (5 კრედიტი)	

გაზაფხულის სემესტრი	
სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა
კოგნიტური ფსიქოლოგია 2	5
სოციალური ფსიქოლოგია 2	5
ადამიანის განვითარება 2	5
განათლების ფსიქოლოგია	5
მონაცემთა ანალიზი SPSS-ის გამოყენებით	5
შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია	5
არჩევითი კურსები (5 კრედიტი)	

* აღნიშნული საგნები იკითხება ორივე სემესტრში. სტუდენტების ნაწილი მათ გაივლის შემოდგომის, ნაწილი - გაზაფხულის სემესტრში.

შესაბამისად, მეორე კურსზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი – შეისწავლოს სპეციალობის (ფსიქოლოგიის) საგნები. ასევე, პროგრამა სტუდენტს სთავაზობს არჩევით საგნებსაც.

მესამე სასწავლო წელი – სპეციალობის სავალდებულო კურსები 35 კრედიტია. დანარჩენი კრედიტები ივსება არჩევითი საგნებით.

მესამე სასწავლო წელი

შემოდგომის სემესტრი	
სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა
განწყობის ფსიქოლოგია 1	5
ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 1	5
პიროვნების ფსიქოლოგია 1	5
ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები*	5
არჩევითი კურსები	

გაზაფხულის სემესტრი	
სავალდებულო კურსები	კრედიტების რაოდენობა
განწყობის ფსიქოლოგია 2	5
ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 2	5
პიროვნების ფსიქოლოგია 2	5
ფსიქოდიაგნოსტიკის საფუძვლები *	5
არჩევითი კურსები	

მეოთხე სასწავლო წელი – სავალდებულო საგნებიდან სტუდენტმა უნდა გაიაროს მხოლოდ კვლევითი ნაშრომი (5 კრედიტი).

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას შეგიძლიათ გაეცნოთ:
https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/BA-fsiqologia-programa_04.02.19_46622.pdf

* აღნიშნული საგნები იკითხება ორივე სემესტრში. სტუდენტების ნაწილი მათ გაივლის შემოდგომის, ნაწილი - გაზაფხულის სემესტრში.

დამატებითი პროგრამა ფსიქოლოგიაში
(მაინორი)

ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს დამატებითი პროგრამა (მაინორი) ფსიქოლოგიაში ძირითად პროგრამაზე სწავლის მეორე წლიდან.

დამატებითი პროგრამის სტუდენტებმა უნდა დააგროვონ **60 კრედიტი:**

- **საბაზისო სავალდებულო – 20 კრედიტი**
- ფსიქოლოგიის საფუძვლები 1
- ფსიქოლოგიის საფუძვლები 2
- კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 1
- კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 2
- **სავალდებულო–არჩევითი – 20 კრედიტი** 1
- ადამიანის განვითარება 1
- ადამიანის განვითარება 2
- განათლების ფსიქოლოგია
- კოგნიტური ფსიქოლოგია 1
- კოგნიტური ფსიქოლოგია 2
- პიროვნების ფსიქოლოგია 1
- პიროვნების ფსიქოლოგია 2
- სოციალური ფსიქოლოგია 1
- სოციალური ფსიქოლოგია 2
- შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
- **არჩევითი – 20 კრედიტი**

სტუდენტს შეუძლია დააგროვოს კრედიტები ფსიქოლოგიის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის არჩევითი საგნებისა და სპეცკურსების ბლოკიდან.

---

* ჩამოთვლილი საგნებიდან შესაძლებელია ნებისმიერი 4 კურსის არჩევა.